

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 15.04.2022 წ.

ერთის მხრივ, სს „საქართველოს რკინიგზა“ (ს/კ 202886010), წარმოდგენილი მისი ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორის დაჩი ცაგურიას სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15 (შემდგომში „შემსყიდველი“, იგივე „დამზღვევი“) და მეორეს მხრივ, სს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ (ს/კ 404393152), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის სოფიო ბერაიას სახით, მისამართი: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N19, სართული 1, (შემდგომში „მიმწოდებელი“, იგივე „მზღვეველი“), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს 01.04.2022 წლის N1/13 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

*„ჩვენ, აღნიშნულ დოკუმენტზე ვიზირების განმახორციელებელი და ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები ვადასტურებთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით მიმწოდებელთან“.*

#### გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** (შემდგომ - “ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

**ხელშეკრულების ღირებულება** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში /თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული/;

**შემსყიდველი ორგანიზაცია** (შემდგომ “შემსყიდველი”) - ორგანიზაცია (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

**მიმწოდებელი** - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას მომსახურების შესყიდვის შესახებ;

**“დღე”, “კვირა”, “თვე”** - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

**დაზღვევა** - ურთიერთობა, რომელიც მყარდება შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ქონებრივი და ჯანმრთელობის ინტერესების დასაცავად;

**მზღვეველი** - მიმწოდებელი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ;

**დამზღვევი** - შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მიმწოდებელთან და იღებს მისგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურებას;

**მოსარგებლე** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;

**სადაზღვევო თანხა** - სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, რომლითაც დაზღვეულია სარკინიგზო ტრანსპორტი.

**სადაზღვევო პოლისი** - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც ასახავს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს და აგრეთვე ხელშეკრულებაში შეტანილ იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებზეც მზღვეველი და დამზღვევი შეთანხმდნენ, სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

**სადაზღვევო მოთხოვნა (კითხვარი)** - მზღვეველის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელსაც დამზღვევი წარუდგენს მზღვეველს, დაზღვევის საგნების, ფაქტებისა და პირობების თაობაზე ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით, რაც აუცილებელია დამზღვევი რისკის შესაფასებლად.

**სარკინიგზო ტრანსპორტი** - სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და მექანიზმები, რომლებსაც შეუძლიათ რელსებზე გადაადგილება ან რელსებზე მოძრაობა მათი ტექნიკური მახასიათებლების მეშვეობით. წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის სარკინიგზო ტრანსპორტში იგულისხმება KISS Stadler-ის მარკის 4 ორსართულიანი, ოთხვაგონიანი ელექტრო მატარებელი (KISS GRS 011, KISS GRS 012, KISS GRS 013, KISS GRS 014).

**სადაზღვევო რისკი** - პოლისით განსაზღვრული შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება დამზღვევის კონტროლს და რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მომავალში.

**სადაზღვევო შემთხვევა** - დაზღვეულ რისკთან მიზეზობრივად დაკავშირებული შემთხვევა, რომლის დადგომის შემთხვევაშიც ხორციელდება სადაზღვევო ანაზღაურება, სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად.

**უბედური შემთხვევა** - სარკინიგზო ტრანსპორტის შეჯახება ნებისმიერ მოძრავე ან უძრავ საგანთან, სარკინიგზო ტრანსპორტის რელსებიდან გადასვლა სარკინიგზო გზებზე ან სარკინიგზო სადგურში, რის შედეგადაც, სარკინიგზო ტრანსპორტი დაზიანებული ან განადგურებულია.

**სრული დანაკარგი** - შემთხვევა, როდესაც სარკინიგზო ტრანსპორტი სრულად განადგურებულია ან არ ექვემდებარება აღდგენას.

**კონსტრუქციული სრული დანაკარგი** - შემთხვევა, როდესაც სარკინიგზო ტრანსპორტი დაზიანებულია იმგვარად, რომ მისი შეკეთების ხარჯები აჭარბებს აღნიშნული სარკინიგზო ტრანსპორტის ღირებულებას, სადაზღვევო რისკის დადგომამდე.

**დაქვითვადი თანხა/ფრანშიზა** - სადაზღვევო თანხის ნაწილი, წარმოდგენილი ფულადი თანხის ან პროცენტული ოდენობის სახით, რომელიც იქვითება გამოთვლილი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებიდან, ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

**სადაზღვევო ხელშეკრულება** - წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

**სადაზღვევო თანხა (ლიმიტი)** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ჯამური ოდენობა, რომელიც განისაზღვრება დაზღვევის თითოეული სახეობისთვის ცალ-ცალკე.

**სადაზღვევო ანაზღაურება** - ანაზღაურება, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გაცემს მზღვეველი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

**სადაზღვევო შემთხვევის აქტი** - სადაზღვევო ანაზღაურების პირობების შესახებ დაზღვეულსა და მზღვეველს შორის მიღწეული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

**სადაზღვევო შემთხვევა** – შემთხვევა, რომლის შედეგად დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას;

**სადაზღვევო პრემია** - დამზღვევის მიერ გადასახდელი დაზღვევის საფასური/ღირებულება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურების საფასურს. სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით. სადაზღვევო პრემიის ოდენობა მითითებულია სადაზღვევო ხელშეკრულებასა და სადაზღვევო პოლისში;

**სადაზღვევო პერიოდი** - ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

**დაზღვევის ტერიტორია** - ხელშეკრულებით და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ძალაშია ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის პირობები;

**მესამე პირი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირ(ები), რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას მიადგა ზიანი და რომლის მიმართაც დაზღვეულს შესაძლოა წარმოეშვას ან წარმოეშვა სამოქალაქო პასუხისმგებლობა; მესამე პირი არ არის დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი და მძღოლი;

**დეფექტური აქტი** - დოკუმენტი, სადაც თავმოყრილია სატრანსპორტო საშუალების აღსადგენად საჭირო ნაწილებისა და ხელობის ჩამონათვალი. აღნიშნულ აქტში ასევე მითითებულია საჭირო დეტალებისა და ხელობის ღირებულებები და მათი დეტალური ფასები.

**ფრანშიზა** - სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, პროცენტულად ან ფიქსირებული თანხით განსაზღვრული ზარალის ის ნაწილი, რომელსაც არ ანაზღაურებს მზღვეველი.

**ანაზღაურების ლიმიტი** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა. შესაძლებელია პოლისში განისაზღვროს ცალკე ლიმიტი სხვადასხვა შემთხვევებისათვის (ქველიმიტი);

**გამომუშავებელი პრემია** – პრემიის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან;

**სხეულის დაზიანება** - ნიშნავს სიკვდილს, ტრავმას, ავადმყოფობას ან დაავადებას ან ამგვარი ტრავმისაგან, ავადმყოფობისაგან ან დაავადებისაგან გამოწვეულ სიკვდილს;

**ქონების დაზიანება** - მატერიალური ქონების ფიზიკური დაზიანება, დანაკარგი ან განადგურება;

**დაზღვეული საქმიანობა** - დამზღვევის საქმიანობა რომელზეც ვრცელდება დაზღვევა და მითითებულია პოლისში;

**ზარალის გაცხადების ვადა** - ვადა რომლის განმავლობაშიც დამზღვევს აქვს უფლება გააცხადოს ზარალები. ზარალის გაცხადების ვადის გასვლის შემდეგ გაცხადებული ზარალები ანაზღაურებას არ დაექვემდებარება;

**რეტროაქტიური თარიღი** - თარიღი, რომლის შემდგომ მომხდარი შემთხვევაც, რომელიც გაცხადდა ზარალის გაცხადების ვადამდე, ექვემდებარება ანაზღაურებას.

## 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. ხელშეკრულების საგანია მომსახურების შესყიდვა, სს „საქართველოს რკინიგზის“ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. (CPV კოდი 66500000, 66512200); SMP220001039.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას დანართით (დანართი №1/ფასების ცხრილი, დანართი №2/დასაზღვევი ქონების ჩამონათვალი, დანართი N3/ტექნიკური დავალება) შესაბამისად განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი ოთხი ერთეული ოთხვაგონიანი STADLER KISS ტიპის ელექტრომატარებლის სადაზღვევო მომსახურება (შემდგომში \_ მომსახურება).

1.3. შემსყიდველისათვის განსახორციელებელი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება დანართი N1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.4. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გათვალისწინებით ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენს - **12 000** (თორმეტი ათასი) აშშ დოლარს (შემდგომში \_ ხელშეკრულების ღირებულება).

1.5. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) დანართი №1/ფასების ცხრილი;

გ) დანართი №2/დასაზღვევი ქონების ჩამონათვალი;

დ) დანართი №3/ ტექნიკური დავალება;

ე) დანართი N4 სს „საქართველოს რკინიგზის“ 01.04.2022 წლის №1/13 დირექტორთა საბჭოს დადგენილება;

ვ) დანართი ხელშეკრულების ადმინისტრირების შესახებ;

ზ) დანართი ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ;

თ) გადაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

1.6. წინამდებარე ხელშეკრულებით დაზღვეული რისკები გადაზღვეული იქნება შემდეგ A კლასის

გადამზღვევ კომპანიებში.

Best Meridian International Insurance Co; Hannover Re; Berkshire Hathaway Specialty Insurance Company; International General Insurance (IGI).

## 2. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

- 2.1. მომსახურების გაწევის ადგილია საქართველოს მთელი ტერიტორია.
- 2.2. მომსახურების გაწევის ვადა დაიწყება სადაზღვევო პოლისებში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან და მოქმედების ვადა განისაზღვრება უწყვეტი 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით, 24 საათის განმავლობაში, დასვენების დღეების ჩათვლით. პოლისების გამოწერის/გადმოცემის თარიღს შემსყიდველი მიმწოდებელს შეატყობინებს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
- 2.3. მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ყველა თანმდევი მომსახურება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან.
- 2.4. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საქმიანობის სრული გამჭვირვალობის პრინციპი (განსახორციელებელი მომსახურების სახეობის შესაბამისად).
- 2.5 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ადმინისტრატორად განისაზღვრა: ფმგ - ნიკოლოზ პატარქალიშვილი, მობ: 591 191065.

## 3. გარანტია

- 3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მომსახურება განხორციელდება ჯეროვნად, დროულად, შეუფერხებლად, კეთილსინდისიერად, სრულფასოვნად და განხორციელებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- 3.2 განხორციელებულ მომსახურებაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს წარუდგინოს პრეტენზია ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს მუშაობა გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრის ან შეცვლისათვის საჭირო ზომების განსახორციელებლად, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში აღმოფხვრას დეფექტი საკუთარი სახსრებით.
- 3.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები :

### 4.1. მიმწოდებელი/მზღვეველი ვალდებულია:

- ა) სადაზღვევო მომსახურება შემსყიდველ ორგანიზაციას გაუწიოს ტენდერით განსაზღვრული პირობებითა და ფასით და აუნაზღაუროს შემსყიდველს/დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალი წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად; მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადებში გამოასწოროს მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარვეზი. ამასთან აანაზღაუროს ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი ზარალი, ფინანსური სანქცია და/ან ხარჯი ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- ბ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;
- გ) დაზღვევის დამადასტურებლად სატრანსპორტო საშუალებაზე გასცეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში;
- დ) სრული კონტროლი გაუწიოს დამზღვევის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებულ სახის პროცედურებს;
- ე) განიხილოს და სადაზღვევო შემთხვევის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი მომსახურება გაწიოს ნებისმიერ შემთხვევაზე, რომელიც მოხდა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად მომსახურების გაწევისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობისა;
- ვ) უზრუნველყოს 24 საათიანი ასისტანსი.
- ზ) მომხდარი შემთხვევის განხილვის მიზნით, სამართალდამცავი ორგანოებისა თუ სხვა მესამე პირებისაგან გონივრულ ვადაში მოიპოვოს ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის დეფექტური აქტი.
- თ) წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი; გააკონტროლოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცესი საჭიროების შემთხვევაში, დამზღვევთან/შემსყიდველთან შეთანხმებით;

ი) უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის მომეტების აღმოსაფხვრელად გასცეს ანაზღაურება გონივრულ ვადაში; ხოლო მესამე პირის წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის დადასტურების შემდგომ, გასცეს ანაზღაურება მესამე პირის სასარგებლოდ, მასთან შეთანხმებული ვადისა და ოდენობის (ლიმიტის ფარგლებში) გათვალისწინებით, ისე რომ მაქსიმალურად იქნეს აცილებული მესამე პირის რაიმე პრეტენზია დამზღვევის მიმართ;

კ) თუ დამზღვევსა (დაზღვეულს) და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო, მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს სასამართლო გადაწყვეტილების (დაზღვეულის/უფლებამოსილი მძღოლის/ მიერ მესამე პირისათვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების წარმოდგენის მომენტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია ანაზღაურება გასცეს სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილი პირობებისა და ოდენობით სადაზღვევო პოლისის ფარგლებში. ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად სცნობს სარჩელს ან მის ნაწილს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე ან მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

ლ) აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

მ) ხელშეკრულების დადების ან/და მოქმედების პერიოდში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის შესახებ;

ნ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებითა და ტექნიკური დავალებით (დანართი №3) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ო) განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

#### **4.2. მიმწოდებელი/მზღვეველი უფლებამოსილია:**

ა) არ განახორციელოს დაზღვევის მომსახურების გაწევა დამზღვევის მიერ ხელშეკრულებით და „დაზღვევის პირობებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესუსრულებლობისას, მათ შორის, დასაზღვევო პრემიის გადაუხდელობისას;

ბ) სადაზღვევო შემთხვევის საფუძველზე ანაზღაურებული ზიანის თანხა გამოაკლოს შესაბამისი (A), (B) და (C) სექციის ლიმიტ(ებ)ს;

გ) მიიღოს შემსყიდველისაგან საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის ან/და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად;

დ) მოთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

#### **4.3. შემსყიდველი/დამზღვევი ვალდებულია:**

ა) გადაიხადოს სადაზღვევო პრემია წინამდებარე ხელშეკრულებით, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ვადაში;

ბ) შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

გ) აცნობოს მზღვეველს სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის, განცხადების პრეტენზიის ან/და იურიდიული პროცედურის თაობაზე;

დ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა გათვალისწინებული ვალდებულებები

ე) უზრუნველყოს მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

#### **4.4 შემსყიდველი/დამზღვევი უფლებამოსილია:**

ა) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით და დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით;

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით და დანართებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაასაჩივროს მიმწოდებლის გადაწყვეტილება, რომელიც მას მიაჩნია არასამართლიანად;

დ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება

#### **5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი მონიტორინგი**

5.1 კონტროლს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი სპეციალური ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი), რომელთა მიერ შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ:

მომსახურების ხარისხი და ფასები, რომელიც დაზღვეულისათვის არ უნდა აღემატებოდეს მოცემულ პერიოდში არსებული მომსახურების ღირებულებას.

5.2. შემსყიდველი ასევე უფლებამოსილია განახორციელოს დაზღვევის მომსახურების ხარისხზე არაგეგმიური მონიტორინგი, როგორც ინსპექტირების ჯგუფისა და მიმწოდებლის მიერ გამოყოფილი წარმომადგენლების მიერ, ასევე დამოუკიდებლად.

5.3. მიმწოდებლის მიერ გაწეული სადაზღვევო მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

5.4. შემსყიდველის (დამზღვევის) მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის (დამზღვევის) მოთხოვნათა შესაბამისად.

## **6. ანგარიშსწორების წესი და პირობები**

6.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, კონსიგნაცია.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ქართული ლარი. ანგარიშსწორება განხორციელდება სადაზღვევო პერიოდის დაწყების თვის პირველი რიცხვისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების განხორციელების ბოლო დღეს ინვოისის წარმოდგენის თარიღიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში. ანგარიშსწორება განხორციელდება ინვოისის საფუძველზე რომელიც „დამზღვევს“ უნდა წარმოედგინოს არაუგვიანეს მომსახურების განხორციელების ბოლო სამუშაო დღეს (რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას ლარში სადაზღვევო პერიოდის დაწყების თვის პირველი რიცხვისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით). (ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით პრემიის გადახდამდე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, ასეთი სადაზღვევო შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად).

6.4 თუ თანხის გადახდის დღე დაემთხვევა არასამუშაო ან საქართველოში გამოცხადებულ უქმე დღეს, შესაბამისი დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე.

## **7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

7.1. მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების გამო „შემსყიდველისთვის“ მიყენებულ ზიანს სრულად ანაზღაურებს „მიმწოდებელი“.

7.2. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ „შემსყიდველისაგან“ შესაბამისი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში არ ანაზღაურებს მიყენებულ ზიანს, „შემსყიდველი“ მიმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ და ყველა ღონისძიებას ზიანის/ზარალის ანაზღაურების მიზნით.

## **8. მხარეთა პასუხისმგებლობა**

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით, რომელიც გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღის, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ს.

8.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით. პირგასამტეხლო გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

8.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

## **9. ხელშეკრულების მოქმედება**

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 დაუშვებელია ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ჩანაცვლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ორგანიზაციის შერწყმა, გაყოფა და სხვა).

10.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების სხვა პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად, სრულად ან ნაწილობრივ (მისი ცალკეული პირობის) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებლობის, ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევებში.

11.2 შემსყიდველი ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით ატყობინებს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილების და ამოქმედების თარიღის შესახებ.

11.3 მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ამავე ხელშეკრულების ფარგლებში რომელიმე მათგანის მიერ მიღებული/მოპოვებული ინფორმაცია და/ან ინფორმაციის შემცველი განხილვები არის კონფიდენციალური და არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს ან გამოაქვეყნოს ნებისმიერი მიზნით მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამასთან, წინამდებარე პუნქტის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

11.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება შემსყიდველთან და მიმწოდებელთან.

11.5 წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ან რამდენიმე პუნქტის გაუქმება (მათ შორის სასამართლოს მიერ) არ იწვევს ამ ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილების მოქმედების შეწყვეტას.

11.6 სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

### „შემსყიდველი“

სს „საქართველოს რკინიგზა“

ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15

ს/კ 202886010

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა GE09BG000000128695301

### „მიმწოდებელი“

სს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“

ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N19, სართული 1

ს/კ 404393152

სს „ტერა ბანკი“

ბანკის კოდი: TEBAGE22

ანგარიშის № GE81KS0000000360800074

---

დაჩი ცაგური

ვილიალ მგზავრთა გადყვანის დირექტორი

---

სოფიო ბერაია

აღმასრულებელი დირექტორი

## ოთხი ერთეული ოთხვაგონიანი KISS ტიპის

### ელექტრომატარებლების დაზღვევა

ძირითადი მოთხოვნები და პირობები

- დასაზღვევი ქონება

The Double Deck EMU electric powered train, in total

ოთხი ერთეული ოთხვაგონიანი STADLER KISS ტიპის ელექტრომატარებელი.

IDENTIFICATION OF THE TRAINS		
მატარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები		
Registration Number	Wagon Numbers (VIN)	
რეგისტრაციის ნომერი	ვაგონის ნომრები (VIN)	
KISS GRS 013	Endwagen 100	STAR L-4286 013-01
	Motowagen 200	STAR L-4286 013-02
	Motowagen 250	STAR L-4286 013-06
	Endwagen 150	STAR L-4286 013-09
KISS GRS 014	Endwagen 100	STAR L-4286 014-01
	Motowagen 200	STAR L-4286 014-02
	Motowagen 250	STAR L-4286 014-06
	Endwagen 150	STAR L-4286 014-09
KISS GRS 011	Endwagen 100	STAR L-4286 011-01
	Motowagen 200	STAR L-4286 011-02
	Motowagen 250	STAR L-4286 011-06
	Endwagen 150	STAR L-4286 011-09
KISS GRS 012	Endwagen 100	STAR L-4286 012-01
	Motowagen 200	STAR L-4286 012-02
	Motowagen 250	STAR L-4286 012-06
	Endwagen 150	STAR L-4286 012-09



• ძირითადი მოთხოვნები დაზღვევის მიმართ

დაზღვევა უნდა ფარავდეს შემდეგ ძირითად კატეგორიებს:

1. ქონების ყველა რისკის დაზღვევა: - ჯამური სადაზღვევო თანხა ოთხ ერთეულ ელექტრომატარებელზე 26 133 846,65. დასაშვები ფრანშიზა: არაუმეტეს 25 000 აშშ დოლარი, მითითება პროცენტულ მაჩვენებელზე არ დაიშვება. ასევე არ დაიშვება თითოეულ შემთხვევაზე ქვე-ლიმიტი.
2. მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობა: შესყიდული ელექტრომატარებლების ოპერირების შედეგად მესამე მხარის მიმართ წარმოშობილი ვალდებულების დაზღვევა წლიური ანაზღაურებადი ლიმიტით - 5,000,000 აშშ დოლარი. დასაშვები ფრანშიზა: არაუმეტეს 10 000 აშშ დოლარი, მითითება პროცენტულ მაჩვენებელზე არ დაიშვება. ასევე არ დაიშვება თითოეულ შემთხვევაზე ქვე-ლიმიტი.
3. ტერორიზმისგან დაზღვევა: წლიური ანაზღაურებადი ლიმიტი - 11,300,000 აშშ დოლარი. დასაშვები ფრანშიზა: არაუმეტეს 25 000 აშშ დოლარი, მითითება პროცენტულ მაჩვენებელზე არ დაიშვება, ასევე არ დაიშვება თითოეულ შემთხვევაზე ქვე-ლიმიტი.

• მოთხოვნების მზღვეველის მიმართ

1. მზღვეველი უნდა წარმოადგენდეს A კლასის სადაზღვევო კომპანიას, ან რისკები გადაზღვეული უნდა იყოს A კლასის სადაზღვევო კომპანიაში.
2. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ უნდა იქნას სადაზღვევო ან გადამზღვევი კომპანიის A კლასის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში (გადამზღვევის არსებობის შემთხვევაში) უნდა ატვირთოს გადამზღვევის საგარანტიო წერილი, რომელშიც გადამზღვევი მკაფიოდ დააფიქსირებს თანხმობას ქვემოთმითითებულ პირობებზე:
  - გადამზღვევი თანახმაა გადაზღვევის შემდეგი რისკები ქვემოთმოცემული პირობებით;
    - ქონების ყველა რისკის დაზღვევა: - ჯამური სადაზღვევო თანხა ოთხ ერთეულ ელექტრომატარებელზე 26 133 846,65. დასაშვები ფრანშიზა: არაუმეტეს 25 000 აშშ დოლარი, მითითება პროცენტულ მაჩვენებელზე არ დაიშვება. ასევე არ დაიშვება თითოეულ შემთხვევაზე ქვე-ლიმიტი.
    - მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობა: შესყიდული ელექტრომატარებლების ოპერირების შედეგად მესამე მხარის მიმართ წარმოშობილი ვალდებულების დაზღვევა წლიური ანაზღაურებადი ლიმიტით - 5,000,000 აშშ დოლარი. დასაშვები ფრანშიზა: არაუმეტეს 10 000 აშშ დოლარი, მითითება პროცენტულ მაჩვენებელზე არ დაიშვება. ასევე არ დაიშვება თითოეულ შემთხვევაზე ქვე-ლიმიტი.
    - ტერორიზმისგან დაზღვევა: წლიური ანაზღაურებადი ლიმიტი - 11,300,000 აშშ დოლარი. დასაშვები ფრანშიზა: არაუმეტეს 25 000 აშშ დოლარი, მითითება პროცენტულ მაჩვენებელზე არ დაიშვება, ასევე არ დაიშვება თითოეულ შემთხვევაზე ქვე-ლიმიტი.

• დაზღვევის ვადები

სადაზღვევო პოლისები პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება პოლისის ამოქმედების თარიღიდან 1 თვის განმავლობაში.

დაზღვევის სახეობა	პრემია
ქონების ყველა რისკის დაზღვევა:	\$ 6460

მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა	\$ 3850
ტერორიზმისგან დაზღვევა:	\$ 1690
ჯამური პრემია	\$ 12 000

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი

სოფიო ბერაია




**უნისონი**  
სადაზღვევო კომპანია  
404393152 ①  
სს სადაზღვევო კომპანია უნისონი  
JSC INSURANCE COMPANY UNISON

ოთხი ერთეული ოთხვაგონიანი „STADLER KISS“ ტიპის ელექტრომატარებლების დაზღვევა

... დასაზღვევი ქონება

The Double Deck EMU electric powered train, in total

ოთხი ერთეული ოთხვაგონიანი „STADLER KISS“ ტიპის ელექტრომატარებელი.

IDENTIFICATION OF THE TRAINS		
მატარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები		
Registration Number	Wagon Numbers (VIN)	
რეგისტრაციის ნომერი	ვაგონის ნომრები (VIN)	
KISS GRS 013	Endwagen 100	STAR L-4286 013-01
	Motowagen 200	STAR L-4286 013-02
	Motowagen 250	STAR L-4286 013-06
	Endwagen 150	STAR L-4286 013-09
KISS GRS 014	Endwagen 100	STAR L-4286 014-01
	Motowagen 200	STAR L-4286 014-02
	Motowagen 250	STAR L-4286 014-06
	Endwagen 150	STAR L-4286 014-09
KISS GRS 011	Endwagen 100	STAR L-4286 011-01
	Motowagen 200	STAR L-4286 011-02
	Motowagen 250	STAR L-4286 011-06
	Endwagen 150	STAR L-4286 011-09
KISS GRS 012	Endwagen 100	STAR L-4286 012-01
	Motowagen 200	STAR L-4286 012-02
	Motowagen 250	STAR L-4286 012-06
	Endwagen 150	STAR L-4286 012-09

ოთხი ერთეული ოთხკუთხედიანი „STADLER KISS“ ტიპის ელექტრომატარებლების დაზღვევის  
ტექნიკური დავალება

მატარებლების დაზღვევის პირობები მოიცავს დაზღვევის შემდეგ სახეობებს/სექციებს:

- ... A - ქონების ყველა რისკის დაზღვევა;
- ... B - მესამე პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- ... C - ტერორიზმის გან დაზღვევა.

დაზღვევის რომელიმე სექციის (A) (B) და (C) ლიმიტის ამოწურვა არ იწვევს სხვა სექციების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებისაგან გათავისუფლებას და შესაბამისად, ხელშეკრულების გაუქმებას. მზღვეველი ვალდებულია განაგრძოს სადაზღვევო მომსახურების გაწევა დანარჩენი სადაზღვევო სექციების ლიმიტების ფარგლებში.

## დაზღვევის A, B და C სექციებისათვის

### 1. ტერმინთა განმარტებები

**დაზღვევა** - ურთიერთობა, რომელიც მყარდება შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ქონებრივი და ჯანმრთელობის ინტერესების დასაცავად;

**მზღვეველი** - მიმწოდებელი, რომელიც წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ;

**დამზღვევი** - შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მიმწოდებელთან და იღებს მისგან წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურებას;

**მოსარგებლე** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;

**სადაზღვევო თანხა** - სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, რომლითაც დაზღვეულია სარკინიგზო ტრანსპორტი.

**სადაზღვევო პოლისი** - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც ასახავს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს და აგრეთვე ხელშეკრულებაში შეტანილ იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებზეც მზღვეველი და დამზღვევი შეთანხმდნენ, სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

**სადაზღვევო მოთხოვნა (კითხვარი)** - მზღვეველის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელსაც დამზღვევი წარუდგენს მზღვეველს, დაზღვევის საგნების, ფაქტებისა და პირობების თაობაზე ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით, რაც აუცილებელია დამზღვევი რისკის შესაფასებლად.

**სარკინიგზო ტრანსპორტი** - სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და მექანიზმები, რომლებსაც შეუძლიათ რელსებზე გადაადგილება ან რელსებზე მოძრაობა მათი ტექნიკური მახასიათებლების მეშვეობით. წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის სარკინიგზო ტრანსპორტში იგულისხმება KISS Stadler-ის მარკის 4 ორსართულიანი, ოთხვაგონიანი ელექტრო მატარებელი (KISS GRS 011, KISS GRS 012, KISS GRS 013, KISS GRS 014).

**სადაზღვევო რისკი** - პოლისით განსაზღვრული შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება დამზღვევის კონტროლს და რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მომავალში.

**სადაზღვევო შემთხვევა** - დაზღვეულ რისკთან მიზეზობრივად დაკავშირებული შემთხვევა, რომლის დადგომის შემთხვევაშიც ხორციელდება სადაზღვევო ანაზღაურება, სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად.

**უბედური შემთხვევა** - სარკინიგზო ტრანსპორტის შეჯახება ნებისმიერ მოძრა ან უძრა საგანთან, სარკინიგზო ტრანსპორტის რელსებიდან გადასვლა სარკინიგზო გზებზე ან სარკინიგზო სადგურში, რის შედეგადაც, სარკინიგზო ტრანსპორტი დაზიანებული ან განადგურებულია.

**სრული დანაკარგი** - შემთხვევა, როდესაც სარკინიგზო ტრანსპორტი სრულად განადგურებულია ან არ ექვემდებარება აღდგენას.

**კონსტრუქციული სრული დანაკარგი** - შემთხვევა, როდესაც სარკინიგზო ტრანსპორტი დაზიანებულია იმგვარად, რომ მისი შეკეთების ხარჯები აჭარბებს აღნიშნული სარკინიგზო ტრანსპორტის ღირებულებას, სადაზღვევო რისკის დადგომამდე.

**დაქვითვადი თანხა/ფრანშიზა** - სადაზღვევო თანხის ნაწილი, წარმოდგენილი ფულადი თანხის ან პროცენტული ოდენობის სახით, რომელიც იქვითება გამოთვლილი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებიდან, ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

**სადაზღვევო ხელშეკრულება** - წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე და მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

**სადაზღვევო თანხა (ლიმიტი)** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ჯამური ოდენობა, რომელიც განისაზღვრება დაზღვევის თითოეული სახეობისთვის ცალ-ცალკე.

**სადაზღვევო ანაზღაურება** - ანაზღაურება, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გასცემს მზღვეველი წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

**სადაზღვევო შემთხვევის აქტი** - სადაზღვევო ანაზღაურების პირობების შესახებ დაზღვეულსა და მზღვეველს შორის მიღწეული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

**სადაზღვევო შემთხვევა** – შემთხვევა, რომლის შედეგად დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას;

**სადაზღვევო პრემია** - დამზღვევის მიერ გადასახდელი დაზღვევის საფასური/ღირებულება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურების საფასურს. სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით. სადაზღვევო პრემიის ოდენობა მითითებულია სადაზღვევო ხელშეკრულებასა და სადაზღვევო პოლისში;

**სადაზღვევო პერიოდი** - ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

**დაზღვევის ტერიტორია** - ხელშეკრულებით და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ძალაშია ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის პირობები;

**მესამე პირი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირ(ებ)ი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას მიაღდა ზიანი და რომლის მიმართაც დაზღვეულს შესაძლოა წარმოეშვას ან წარმოეშვა სამოქალაქო პასუხისმგებლობა; მესამე პირი არ არის დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრი და მძღოლი;

**დეფექტური აქტი** - დოკუმენტი, სადაც თავმოყრილია სატრანსპორტო საშუალების აღსადგენად საჭირო ნაწილებისა და ხელობის ჩამონათვალი. აღნიშნულ აქტში ასევე მითითებულია საჭირო დეტალებისა და ხელობის ღირებულებები და მათი დეტალური ფასები.

**ფრანშიზა** - სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, პროცენტულად ან ფიქსირებული თანხით განსაზღვრული ზარალის ის ნაწილი, რომელსაც არ აანაზღაურებს მზღვეველი.

**ანაზღაურების ლიმიტი** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა. შესაძლებელია პოლისში განისაზღვროს ცალკე ლიმიტი სხვადასხვა შემთხვევებისათვის (ქველიმიტი);

**გამომუშავებული პრემია** – პრემიის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან;

**სხეულის დაზიანება** - ნიშნავს სიკვდილს, ტრავმას, ავადმყოფობას ან დაავადებას ან ამგვარი ტრავმისაგან, ავადმყოფობისაგან ან დაავადებისაგან გამოწვეულ სიკვდილს;

**ქონების დაზიანება** - მატერიალური ქონების ფიზიკური დაზიანება, დანაკარგი ან განადგურება;

**დაზღვეული საქმიანობა** - დამზღვევის საქმიანობა რომელზეც ვრცელდება დაზღვევა და მითითებულია პოლისში;

**ზარალის გაცხადების ვადა** - ვადა რომლის განმავლობაშიც დამზღვევს აქვს უფლება გააცხადოს ზარალები. ზარალის გაცხადების ვადის გასვლის შემდეგ გაცხადებული ზარალები ანაზღაურებას არ დაექვემდებარება;

**რეტროაქტიური თარიღი** - თარიღი, რომლის შემდგომ მომხდარი შემთხვევაც, რომელიც გაცხადდა ზარალის გაცხადების ვადამდე, ექვემდებარება ანაზღაურებას.

## 2. A - ქონების ყველა რისკის დაზღვევა:

ქონების ყველა რისკის დაზღვევის დაზღვევა გულისხმობს, ქონების ნაწილობრივი ან სრული დაზიანებით (განადგურებით), აგრეთვე სარკინიგზო ტრანსპორტის ან მისი ნაწილების დაკარგვით/დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას; ნაწილობრივ დაზიანებად ითვლება სარკინიგზო ტრანსპორტის ზიანი, რომელიც ექვემდებარება შეკეთება/აღდგენას და რომლის შეკეთება/აღდგენის ღირებულება ნაკლებია ხელშეკრულებაში მითითებული საბალანსო ღირებულების 70%-ზე; სრულ დაზიანებად (განადგურებად) ჩაითვლება: ა) სარკინიგზო ტრანსპორტის ისეთი ზიანი, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას (სრული განადგურება); ბ) სარკინიგზო ტრანსპორტის ისეთი ზიანი, რომლის აღდგენა/შეკეთების ღირებულება ერთჯერადად ხელშეკრულებაში მითითებული საბალანსო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს (სრული განადგურება/ტოტალი); გ) ზარალი, რომელიც გამოწვეულია სარკინიგზო ტრანსპორტის დაკარგვით.

- 2.1. მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს სარკინიგზო ტრანსპორტის დაზიანებების, სრული ან კონსტრუქციული დანაკარგის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, რომელიც გამოწვეული იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი რისკების შედეგად (მესამე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა):
  - 2.1.1 ხანძარი;
  - 2.1.2 აფეთქება, მოკლე ჩართვა;
  - 2.1.3 უბედური შემთხვევა;
  - 2.1.4 ბუნებრივი კატასტროფები: მიწისძვრა, მეხი, ქარიშხალი, სეტყვა, წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი.
  - 2.1.5 მესამე პირების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებები: აფეთქება, ხანძრის გაჩენა, ქურდობა, ძარცვა ყაჩაღობა და ვანდალიზმი.
- 2.2 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველი ვალდებულია, აანაზღაუროს დამზღვევის ყველა დეკლარირებული და დასაბუთებადი გონივრული დანახარჯები, რომლებიც ამ უკანასკნელმა განიცადა პრევენციული გადაუდებელი ზომების მიღებისა და სარკინიგზო ტრანსპორტის დაზიანების შემცირების მიზნით, აგრეთვე, დამზღვევი რისკებით გამოწვეული ზარალის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე დოკუმენტის მე-3 მუხლით (გამონაკლისები) გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ქონების გადარჩენის ხარჯები ანაზღაურდება ზარალის ოდენობის 25%-მდე.

## 3. გამონაკლისები:

სადაზღვევო ზარალის ანაზღაურება არ ხდება ქვემოთ მითითებული შემთხვევების შედეგად გამოწვეული ზიანისას:

- 3.1 ბირთვული აფეთქება, რადიაცია ან რადიოაქტიური დაბინძურება;
- 3.2 სამხედრო ოპერაციები, სამოქალაქო მღელვარება და აღნიშნულით გამოწვეული შედეგები, სამოქალაქო ომი, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება ან გაფიცვები, ტერორისტული მოქმედებები, სახელმწიფო ან მუნიციპალური კანონმდებლობის ძალაში შესვლა;
- 3.3 სარკინიგზო ტრანსპორტის რეკონსტრუქცია, სარკინიგზო კვანძების (აგრეგატების) შეცვლა ან ჩანაცვლება;
- 3.4 სარკინიგზო ტრანსპორტის მფლობელის გადახდისუუნარობა ან ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- 3.5 ძრავებისა და მათი ნაწილების, მექანიზმების ან აღჭურვილობის ბუნებრივი ცვეთა, კოროზია, ტექნიკური ხარვეზები და უხარისხო შეკეთება;
- 3.6 სარკინიგზო ტრანსპორტის საექსპლუატაციო თვისებების გაუარესება, ბუნებრივი ცვეთა, აგრეთვე, სარკინიგზო ტრანსპორტის ხარისხის გაუარესება და მისი ღირებულების შემცირება სადაზღვევო შემთხვევების და/ან შეკეთების შედეგად;
- 3.7 მწარმოებლის საოპერაციო ინსტრუქციებისა და მოთხოვნების დაუცველობა;
- 3.8 საწვავის, საპოხი მასალებისა და სხვა სითხეების ნაკლებობა შესაბამის სარკინიგზო სატრანსპორტო სისტემებში;
- 3.9 დაზიანება სარკინიგზო ტრანსპორტის ელექტრო და/ან მექანიკურ საკვანძო მონაკვეთებში და/ან აგრეგატებში იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დაზიანება გამოწვეული არ ყოფილა 2.1. პუნქტში მითითებული რისკებით.
- 3.10 იმ შემთხვევაში, თუ სარკინიგზო ტრანსპორტს მართავს არაუფლებამოსილი პირი ან უფლებამოსილი პირი იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ან სხვა ინტოქსიკაციური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
- 3.11 ზიანს, ვალდებულებას ან ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული იქნა ან რომლებსაც ხელი შეუწყო;
- 3.12 იონიზებულმა რადიაციებმა, რომლებიც გამოწვეული იქნა რაიმე სახის ბირთვული საწვავის ან ნებისმიერი ბირთვული ნარჩენების ან ბირთვული საწვავის წვის შედეგად ან აღნიშნულით დაბინძურების შედეგად.
- 3.13 ნებისმიერი ბირთვული ინსტალაციის, რეაქტორის ან სხვა ბირთვული მოწყობილობის ან მათი ბირთვული კომპონენტის რადიოაქტიურმა, ტოქსიკურმა, ფეთქებადმა ან სხვა საფრთხისშემცველმა ან დამაბინძურებელმა თვისებებმა.
- 3.14 ნებისმიერმა იარაღმა ან მოწყობილობამ, რომელიც იყენებს ატომურ ან ბირთვულ ატომის გახლეჩას და/ან შერწყმას ან სხვა მსგავსმა რეაქციამ ან რადიოაქტიურმა ძალამ ან საშუალებამ.
- 3.15 ნებისმიერი რადიოაქტიური საშუალების რადიოაქტიურმა, ტოქსიკურმა, ფეთქებადმა ან სხვა საფრთხისშემცველმა ან დამაბინძურებელმა თვისებებმა. წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი არ ვრცელდება

რადიოაქტიურ იზოტოპებზე, ბირთვული საწვავის გარდა იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული იზოტოპების მომზადება, გადატანა, შენახვა ან გამოყენება ხორციელდება კომერციული, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, სამეცნიერო ან სხვა მსგავსი მშვიდობიანი მიზნებისათვის.

3.16 ნებისმიერმა ქიმიურმა, ბიოლოგიურმა, ბიოქიმიურმა ან ელექტრომაგნიტურმა იარაღმა.

3.17 წინამდებარე დაზღვევა არ ფარავს ზარალს, ზიანს, ვალდებულებას ან ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული იქნა ან რომლებსაც ხელი შეუწყო ზიანის მიყენების საშუალების სახით, ნებისმიერი კომპიუტერის, კომპიუტერული სისტემის, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის, მავნე კოდის, კომპიუტერული ვირუსის ან პროცესის ან ნებისმიერი სხვა ელექტრონული სისტემის გამოყენებამ ან ექსპლუატაციამ.

#### 4. სადაზღვევო თანხის მისაღებად, დამზღვევი უზრუნველყოფს ქვემოთ მითითებული დოკუმენტების წარმოდგენას:

4.1. სადაზღვევო ანაზღაურების მიღებისათვის, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული შემთხვევის დადგომიდან 48 საათის განმავლობაში წარსადგენი წერილობითი განაცხადის გარდა, დამზღვევმა მზღვეველს გონივრულ ვადაში უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

4.1.1. სადაზღვევო ზარალის ანაზღაურების მიღების განაცხადი;

4.1.2. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს სარკინიგზო ტრანსპორტის საკუთრების უფლებას;

4.1.3. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომას: სარკინიგზო ტექნიკური შემოწმების ორგანოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს (როგორცადაც შეუზღუდავად ითვლება მოძრაობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი) განცხადება, დასკვნა ან ანგარიში, ექსპერტის დასკვნა შემთხვევის თაობაზე და/ან სხვა დოკუმენტები, რაც შეიძლება საჭირო გახდეს გარემოებებიდან გამომდინარე;

4.1.4. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს ზარალის რეალურ ოდენობას (დაზიანებული სარკინიგზო ტრანსპორტის შეკეთების სავარაუდო ხარჯები, მოპარული ან დაკარგული აღჭურვილობის ნუსხა და ასე შემდეგ);

#### 5. სადაზღვევო ზარალის ოდენობა განსაზღვრული უნდა იქნეს მზღვეველის მიერ, ქვემოთ მითითებული პირობების გათვალისწინებით:

5.1 დაზიანებული სარკინიგზო ტრანსპორტის გამოკვლევის ანგარიში, რომელიც არაუგვიანეს შემთხვევიდან 20 სამუშაო დღის ვადაში უნდა შეადგინოს მზღვეველის წარმომადგენელმა 4.1.1 პუნქტით განსაზღვრული განაცხადის მიღების თარიღიდან არაუგვიანეს 3 დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იმყოფება, დამზღვევის ან ბენეფიციარისა და საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული ექსპერტის მონაწილეობით; მე-4 მუხლის 4.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულად მიღებისა და ამ პუნქტით განსაზღვრული გამოკვლევის ანგარიშის მომზადებიდან (ზარალის დაანგარიშებიდან) 5 სამუშაო დღის განმავლობაში მზღვეველი იღებს გადაწყვეტილებას ზიანის ანაზღაურების შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი და აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

5.2. მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს ზარალის დაანგარიშება;

5.3 სადაზღვევო ზარალის ოდენობა უნდა იყოს დამზღვევის მიერ, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად განცდილი ზარალის ოდენობის ადეკვატური

5.4 სრული ან კონსტრუქციული დანაკარგის შემთხვევაში, ზარალის ოდენობა განისაზღვროს ქონების ყველა რისკის დაზღვევისთვის განსაზღვრულ თანხაზე დაქვითვადი თანხის გამოკლებით.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, აუცილებელია სარკინიგზო ტრანსპორტის შეკეთება, მზღვეველი ვალდებულია, აანაზღაუროს დამზღვევის მიერ გაღებული შეკეთების ხარჯები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაქვითვადი თანხის გამოკლებით. ასანაზღაურებელ შეკეთების ხარჯების ოდენობად მიიჩნევა თანხა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის შედეგების აღმოსაფხვრელად და სარკინიგზო ტრანსპორტის იმ ტექნიკურ მდგომარეობამდე აღსადგენად, რა მდგომარეობაშიც ის იმყოფებოდა სადაზღვევო რისკის/შემთხვევის დადგომის მომენტში.

5.6 მხარეებს შორის შეთანხმების შემთხვევაში, გამომწვევი მიზეზის სრულ გამოძიებამდე და ზარალის გამოთვლამდე, მზღვეველი უფლებამოსილია, დაზღვეულს გადაუხადოს სადაზღვევო ზარალის ნაწილი, რომლის ოდენობაც არცერთი მხარისათვის არ უნდა იყოს სადავო.

5.7 იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულმა მიიღო მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება მესამე მხარის მხრიდან, მზღვეველი გათავისუფლდება კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისაგან.

5.8 იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულმა მიიღო ნაწილობრივი ანაზღაურება მესამე მხარის მხრიდან, მზღვეველი ვალდებულია, დაზღვეულს გადაუხადოს სხვაობის ოდენობა, გამოთვლილი სადაზღვევო ზარალსა და მესამე მხარისაგან მიღებულ თანხებს შორის.

5.9 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, როდესაც ამ უკანასკნელის არსებობა ეჭვს არ იწვევს და შესაბამისად, არ საჭიროებს საგამოძიებო ღონისძიებების გატარებას, ზარალი დარეგულირდება უმოკლეს ვადებში და სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 5 ( ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

5.10 მზღვეველის საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირების შემდეგ, შემთხვევის ადგილზე გადის ზარალის რეგულირების ექსპერტი ან/და მენეჯერი, რომელიც ვალდებულია დაათვალიეროს არსებული დაზიანებები და მოიძიოს ყველა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია შემთხვევასთან დაკავშირებით. თუ მზღვეველის



წარმომადგენლის გამოცხადება შემთხვევის ადგილზე გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია ან გამოცხადებისათვის საჭიროა 1 საათი ან მეტი ან მზღვეველის გადაწყვეტილებით გამოცხადება არ არის მიზანშეწონილი, მზღვეველი მხოლოდ სატელეფონო ინსტრუქტაჟით შემოიფარგლება. აღნიშნულ შემთხვევაში, დამზღვევი უფლებამოსილია არ დაელოდოს მზღვეველის წარმომადგენლის გამოცხადებას, მასთან გაიაროს სატელეფონო ინსტრუქტაჟი.

## **6. B - მესამე პირთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა**

მესამე პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს მზღვეველის ვალდებულებას გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას მესამე პირის წინაშე წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო;

### **6. გამონაკლისი შემთხვევები**

არ ანაზღაურდება პასუხისმგებლობა ზიანზე, რომელიც გამოწვეულია

- 6.1 ნივთიერებების შეღწევით ან გამოჟონვით, დაზინძურებით;
  - 6.2 ნებისმიერი პირის თაღლითური ქმედებით;
  - 6.3 შემსყიდველის კანონიერი წარმომადგენლის განზრახვი ქმედებით ან უხეში დაუდევრობით;
  - 6.4 ბირთვული აფეთქების ზემოქმედებით, რადიაციით, რადიოაქტიური ან ბიოლოგიური დაზინძურებით;
  - 6.5 საომარი მოქმედებით (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), შეიარაღებული ამბოხებით, მასობრივი არეულობით ან სამოქალაქო მღელვარებით, გაფიცვით, სამოქალაქო ომით, სამხედრო გადატრიალებით, ან სახალხო აჯანყებით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპირებული ძალაუფლების ქმედებით, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობით ან სხვა ნებისმიერი მოვლენით ან გარემოებით, რის შედეგადაც გამოცხადებულია სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობა, ან ყოველივე ამისაგან გამომდინარე მიზეზებით;
  - 6.6 ნებისმიერი ტერორისტული აქტით ან მისი მცდელობით;
  - 6.7 პასუხისმგებლობით, რაზეც შემსყიდველი, როგორც დამსაქმებელი, პასუხისმგებელია თანამშრომლის მიმართ ამ თანამშრომლის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებისას;
  - 6.8 შემსყიდველის საკუთრებაში არსებული, მობარებული, დროებით სარგებლობაში გადმოცემული ან კონტროლის ქვეშ მყოფ ქონების დაზიანებით;
  - 6.9 შემსყიდველის წარმოებული ან მიწოდებული პროდუქციით. ასევე არ ანაზღაურდება ხარჯები რომელიც უკავშირდება პროდუქციის შემოწმებას, დეფექტების აღმოფხვრას, ჩანაცვლებას ან ბრუნვიდან ამოღებას;
  - 6.10 გარემოს, ჰაერის, წყლის ან ნიადაგის დაზინძურებით ან მასთან დაკავშირებით;
  - 6.11 ცილისწამებით ან მორალურ ზიანით ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პასუხისმგებლობით;
  - 6.12 წმინდა ფინანსური ზარალით, რომელიც არ გამომდინარეობს ქონების ან სხეულის დაზიანებისაგან;
  - 6.13 ნებისმიერი თანმდევი ან არაპირდაპირი ზიანით ან ზარალით;
  - 6.14 შემსყიდველის მიმართ დაკისრებული ნებისმიერი საჯარიმო სანქციებით;
  - 6.15 აზბესტისგან, რომელიც გამომდინარეობს პირადაპირ თუ არაპირდაპირ ან მისი შემცველი პროდუქტების მოქმედებით;
  - 6.16 პროფესიული საქმიანობის განხორციელებით, კონსულტაციით, მკურნალობით ან ამგვარის განუხორციელებლობით (პროფესიული პასუხისმგებლობა) გამო.
  - 6.17 შემსყიდველის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებიდან ან ნებისმიერი სხვა შეთანხმებიდან, გარდა ისეთი პასუხისმგებლობისა რომელიც შემსყიდველს დაეკისრებოდა დაზღვევის ხელშეკრულების არ არსებობის პირობებში.
- 7 ანაზღაურებას ექვემდებარება დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი და პოლისში მითითებული ზარალის გაცხადების ვადამდე გაცხადებული შემთხვევა, რომელიც იწვევს:**
- 7.1 მესამე პირის ქონების დაზიანებას ან/და მესამე პირის სხეულის დაზიანებას და რომლის ანაზღაურებაზეც სამართლებლივად პასუხისმგებელია დამზღვევი.
  - 7.2 იმ შემთხვევაში, როდესაც პოლისით განსაზღვრულია რეტროაქტიური თარიღი, რომელიც ნაკლებია სადაზღვევო პერიოდის დასაწყისზე, ანაზღაურებას დაექვემდებარება ასევე ამ რეტროაქტიური თარიღის შემდგომ (მაგრამ პოლისის ვადის ამოწურვამდე) მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები.
  - 7.3 ზარალის გაცხადების პერიოდი - ზარალი უნდა იქნას გაცხადებული სადაზღვევო პერიოდის ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა.
  - 7.4 რეტროაქტიული პერიოდი განისაზღვრება პოლისის ძალაში შესვლის თარიღიდან.

## 8. ანაზღაურების ლიმიტი

- 8.1 სადაზღვევო ანაზღაურების სახით მზღვეველი ანაზღაურებს ზიანზე ჯამური პასუხისმგებლობის მოცულობას (იურიდიული და სასამართლოს ხარჯების ჩათვლით), მაგრამ არაუმეტეს პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტისა;
- 8.2 ანაზღაურების ლიმიტი შემცირდება მზღვეველის მიერ ყველა ანაზღაურებული ზარალის და გამოყენებული ფრანშიზის ოდენობით. ანაზღაურების ლიმიტი შემცირდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან;

## 9. სადაზღვევო ანაზღაურება

- 9.1 მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს მას შემდეგ რაც დოკუმენტალურად დადასტურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტი;
- 9.2 მზღვეველი ანაზღაურებს (ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში):
  - 9.2.1 თანხას, რომლის გადახდაც დაეკისრა დამზღვევეს სასამართლოს მიერ (გარდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის) მესამე პირისათვის მიყენებული ზარალისთვის, ან/და
  - 9.2.2 თანხას, რომლის გადახდაზეც მოილაპარაკებს მზღვეველი დაზღვეულსა და დაზარალებულ მესამე პირს შორის სასამართლოს გარეშე;
  - 9.2.3 სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზარალის დარეგულირებასთან;
- 9.3 თუ თანხა ანაზღაურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:
  - 9.3.1 მესამე პირის ქონების დაზიანებისას, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:
    - ა) თუ მესამე პირის ქონება მთლიანად განადგურდა – ქონების საბაზრო ღირებულებას გამოაკლდება ნარჩენების ღირებულება;
    - ბ) თუ მესამე პირის ქონება არ არის სრულად განადგურებული, ანაზღაურდება სარემონტო ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ზარალამდე არსებულ კონდიციამდე მისაყვანად;
  - 9.3.2 მესამე პირის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანისას, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:
    - ა) დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის გამო, მაგრამ არა უმეტეს ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;
    - ბ) დაზარალებული პირის სამკურნალოდ საჭირო თანხები;
    - გ) დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არა უმეტეს ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა. ამ პუნქტში აღნიშნული რისკის დადგომის შემთხვევაში, ზარალი აუნაზღაურდება მხოლოდ დაზარალებული პირის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 9.4 იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალებულ რამდენიმე მესამე პირი, ხოლო დამზღვევეზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადაჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);
- 9.5 ანაზღაურების ჯამური მოცულობა ფრანშიზის გამოკლებით არ გადააჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტის ოდენობას;
- 9.6 მზღვეველსა და დამზღვევეს შორის ზარალის სიდიდის და მისი გამოიწვევი მიზეზების შესახებ შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ორივე მხარეს უფლება აქვს მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც ინიშნება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე; ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს ექსპერტიზის მოწვევი მხარე;
- 9.7 ყოველი ზარალის ანაზღაურება მოხდება პოლისში მითითებული ფრანშიზის გამოკლებით.
- 9.8 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ანაზღაურებას ექვემდებარება:
  - ა) გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯები;
  - ბ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ ის შრომისუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფიერ იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით) მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევის შემდგომი 12 თვის განმავლობაში დოკუმენტურად დადასტურებული მისაღები შემოსავლისა.
  - გ) კომპენსაცია, რომელიც გაიცემა გარდაცვლილის მემკვიდრეზე დაზღვევის აღნიშნული სახეობისათვის დარჩენილი ლიმიტის 100%-ის ოდენობით. გარდაცვალების მემკვიდრეზე კომპენსაციის გაცემისას, მზღვეველი სადაზღვევო თანხას ანაზღაურებს დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში);
- 9.9 თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაშავდა ან გარდაიცვალა ერთზე მეტი პირი, ხოლო ჯამური ზარალი აჭარბებს დაზღვევის ამ სახეობისათვის დადგენილ ლიმიტს, თითოეული მხარე მიიღებს ანაზღაურებას საერთო

ზარალში მისი წილის შესაბამისად, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, წინა პერიოდში გაცემული ანაზღაურების გათვალისწინებით

**შენიშვნა:** მზღვეველი ვალდებულია არ გამოიყენოს რეგრესის (სუბროგაციული) უფლება უფლებამოსილი მძღოლების მიმართ.

#### 10. C - ტერორიზმისგან დაზღვევა:

- 10.1 წინამდებარე პირობებში მოცემული გამონაკლისების, შეზღუდვების, წესებისა და პირობების გათვალისწინებით, ტერორიზმისგან დაზღვევა გულისხმობს თანდართულ პოლისში მითითებული ქონების დაზღვევას ფიზიკური დაზიანებისა და დანაკარგისაგან, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობების განუყოფელ ნაწილს, რომელსაც ადგილი აქვს პოლისის მოქმედების პერიოდში და გამოწვეულია ტერორისტული აქტის ან საბოტაჟის შედეგად, როგორც ეს ქვემოთაა განმარტებული.
- 10.2 წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის, ტერორისტული აქტი გულისხმობს დამოუკიდებლად ან რომელიმე ორგანიზაციის სახელით ან მასთან კავშირში მოქმედი რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფ(ებ)ის მოქმედებას ან მოქმედებათა სერიას, მათ შორის ძალის გამოყენებით ან ძალადობით, რომელიც შესრულდა პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური მიზნებისათვის, მათ შორის რომელიმე მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენის განზრახვით და/ან საზოგადოების დაშინების/დაშინების მცდელობის მიზნით.
- 10.3 დამატებით ტერორისტული აქტი განმარტებული იქნება როგორც ეს მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (შემდგომში ტერორისტული აქტი).
- 10.4 წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის, საბოტაჟის აქტი გულისხმობს დივერსიულ ქმედებას ან ქმედებათა სერიას, რომლებიც შესრულდა პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური მიზნებისათვის, მათ შორის რომელიმე მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენის განზრახვით და/ან საზოგადოების დაშინების მცდელობის მიზნით.
- 10.5 დამატებით საბოტაჟის აქტი განმარტებული იქნება როგორც ეს მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (შემდგომში საბოტაჟის აქტი).

#### 11. საგამონაკლისო შემთხვევები

აღნიშნულ ნაწილში ასახული დაზღვევით არ დაიფარება:

- 11.1 ზარალი ან დაზიანება, რომელიც, პირდაპირ ან ირიბად, წარმოიშვა ბირთვული დეტონაციის, ბირთვული რეაქციის, ბირთვული რადიაციის ან რადიოაქტიური დაბინძურებისაგან, მიუხედავად იმისა, რამ გამოიწვია აღნიშნული ბირთვული დეტონაცია, ბირთვული რეაქცია, ბირთვული რადიაცია ან რადიოაქტიური დაბინძურება.
- 11.2 ზარალი ან დაზიანება, რომელიც, პირდაპირ ან ირიბად, წარმოიშვა ომის, შემოჭრის ან საომარი მოქმედებების (მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა ომის გამოცხადება), სუვერენული ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მტრული ქმედების, სამოქალაქო ომის, აჯანყების, რევოლუციის, ამბოხების, სამხედრო მდგომარეობის, ძალაუფლების უზურპაციის, ან ისეთი სამოქალაქო მღელვარების შედეგად, რომელიც თანაზომიერია ან უთანაბრდება აჯანყებას.
- 11.3 ზარალი ან დაზიანება, რომელიც წარმოიშვა კონფისკაციის, ნაციონალიზაციის, რეკვიზიციის, დაპატიმრების, ემბარგოს, კარანტინის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერი ბრძანების შედეგად, რომელიც დაზღვეულს ართმევს უფლებას, გამოიყენოს მისი ქონება ან უკარგავს ღირებულებას ამგვარ ქონებას. გარდა ამისა, ზარალი ან დაზიანება, რომელიც წარმოიშვა კონტრაბანდული ან არალეგალური ტრანსპორტირების ან უკანონო ვაჭრობის შედეგად.
- 11.4 ზარალი ან დაზიანება, რომელიც, პირდაპირ ან ირიბად, წარმოიშვა დამაბინძურებელი ნივთიერებების ან აგენტების გაჟონვის ან გამოყოფის შედეგად, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ნებისმიერ მყარ, თხევად, აირად ან თერმულ გამლიზიანებელ საშუალებას, დამაბინძურებელ ნივთიერებას ან ტოქსიკურ ან საშიშ ნივთიერებას ან ნებისმიერ ნივთიერებას, რომლის არსებობა ან გამოთავისუფლება საფრთხეს უქმნის ან რისკის ქვეშ აყენებს ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და ადამიანთა თუ გარემოს კეთილდღეობას.
- 11.5 ზარალი ან დაზიანება, რომელიც, პირდაპირ ან ირიბად, წარმოიშვა ქიმიური ან ბიოლოგიური ემისიის, გამოყოფის, გაზნევის ან გადინების ან ნებისმიერი სახის ქიმიური ან ბიოლოგიური ზეგავლენის შედეგად.
- 11.6 ზარალი ან დაზიანება, რომელიც, პირდაპირ ან ირიბად, წარმოიშვა აზბესტის ემისიის, გამოთავისუფლების, გამოყოფის, გაზნევის ან გადინების ან ნებისმიერი სახის აზბესტის ზეგავლენის შედეგად.
- 11.7 ნებისმიერი საურავი ან ჯარიმა ან სხვა სახის გადასახადი, რომელიც დაეკისრება დაზღვეულს რომელიმე სასამართლოს, სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ან სამოქალაქო ორგანოს ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ.
- 11.8 ზარალი ან დაზიანება ელექტრონული საშუალებებით, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, კომპიუტერის გატეხვა ან ნებისმიერი სახის კომპიუტერული ვირუსის გაშვება ან სისტემის გატეხვა ან არასანქცირებული მართვა ან კოდის გაშვება ან ნებისმიერი ელექტრომაგნიტური იარაღის გამოყენება. აღნიშნული გამონაკლისი არ გამოირიცხავს ისეთ ზარალებს (რომლებიც სხვაგვარად დაიფარებოდა წინამდებარე პოლისის მიერ), რომლებიც წარმოიშვა გაშვების და/ან მართვის სისტემაში რომელიმე კომპიუტერის,

კომპიუტერული სისტემის ან კომპიუტერული პროგრამის ან ნებისმიერი სხვა ელექტრონული სისტემის და/ან ნებისმიერი იარაღის ან ჭურვის სასროლი მექანიზმის გამოყენების შედეგად.

- 11.9 ზარალი ან დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ვანდალების ან ბოროტი განზრახვით მოქმედი სხვა პირების მიერ ან პროტესტის ან გაფიცვების, სამუშაო კონფლიქტების, აჯანყებების ან სამოქალაქო მღელვარების შედეგად.
- 11.10 ზარალი ან დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ნებისმიერი საზოგადოებრივი ან სამთავრობო ან ადგილობრივი ან სამოქალაქო ორგანოს მიერ ნებისმიერი ბრძანებულების ან კანონის ამოქმედების შედეგად, რომელიც არეგულირებს წინამდებარე დაზღვევით დამზღვევი რომელიმე ქონების რეკონსტრუქციას, შეკეთებას ან დანგრევას.
- 11.11 ზარალი ან დაზიანება, რომელიც გამოწვეულია რეალური ან შესაძლო ტერორიზმის ან საბოტაჟის თავიდან ასაცილებლად, ჩასახშობად ან გასაკონტროლებლად გატარებული ზომების შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოხდება ანდერრაიტერებთან აღნიშნულის წერილობით შეთანხმება, მითითებული ზომების გატარებამდე.
- 11.12 ნებისმიერი შედეგობრივი ზარალი ან დაზიანება, გამოყენების შესაძლებლობის დაკარგვა, შეყვანება ან ბაზრების დაკარგვა, შემოსავლის დაკარგვა, ცვეთა, ფუნქციონალურობის შემცირება ან დამუშავების დამატებითი ხარჯები.
- 11.13 ზარალი ან დაზიანება, რომელიც გამოწვეულია, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი ფაქტორებით: წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდების და ტელეკომუნიკაციის ან ნებისმიერი სახის მომსახურების შეწყვეტა, ცვალებადობა, ვარიაცია ან უკმარისობა.
- 11.14 ზარალი ან დაზიანება, რომელიც გამოწვეულია შეჭრის, სახლის გატეხვის, დაყაჩაღების ან გაქურდვის შედეგად.
- 11.15 იდუმალი გაუჩინარებით ან დაუდგენელი ზარალით გამოწვეული ზარალი ან დაზიანება.
- 11.16 ზარალი ან დაზიანება, რომელიც, პირდაპირ ან ირიბად, წარმოიშვა ობის, ჭრაქის, სოკოს, სპორის ან სხვა ნებისმიერი სახის, თვისებების ან აღწერის მქონე მიკროორგანიზმის შედეგად, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ნებისმიერ ნივთიერებას, რომლის არსებობა რეალურ ან შესაძლო საფრთხეს უხდის ადამიანის ჯანმრთელობას.

## 12. აღნიშნულ ნაწილში ასახული დაზღვევით ასევე არ იფარება ქონებისათვის მიყენებული შემდეგი ფიზიკური ზარალი ან ფიზიკური დაზიანება:

- 12.1 მიწა ან მიწის ღირებულება.
- 12.2 მილსადენები დამზღვევის შენობა-ნაგებობების ტერიტორიაზე.
- 12.3 ნებისმიერი შენობა ან კონსტრუქცია, ან მასში არსებული ქონება, როდესაც აღნიშნული შენობა ან ნაგებობა დაუკავებელი ან თავისუფალია ან არ ფუნქციონირებს ოთხმოცდაათ დღეზე მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ქონება განზრახ თავისუფალია მისი ჩვეულებრივი გამოყენების პირობებში.
- 12.4 თვითმფრინავი ან ნებისმიერი სხვა საფრენი მოწყობილობა ან წყლის ხომალდი.
- 12.5 ნებისმიერი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალება, გარდა ისეთი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებიც აღნიშნულია წინამდებარე დაზღვევაში და დაზიანების დროს უშუალოდ მდებარეობდა დამზღვევი ქონების ტერიტორიაზე.
- 12.6 ცხოველები, მცენარეები და ნებისმიერი სახის ცოცხალი არსებები.
- 12.7. აღნიშნული ნაწილით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში აგრეთვე იფარება დამზღვევის ტერიტორიიდან რისკების სპეციფიკაციაში აღნიშნული ქონების ნარჩენების გატანის ხარჯები, რომელიც დაზიანდა ტერორისტული აქტის ან საბოტაჟის შედეგად. ნარჩენების გატანის ხარჯი არ ჩაითვლება ანაზღაურებული ქონების შეფასების განსაზღვრის დროს.

## 13 ერთობლივად დაზღვეულები

მზღვეველის ჯამური პასუხისმგებლობა წინამდებარე დაზღვევით ერთი ან მეტი დამზღვევისათვის დამდგარი ნებისმიერი ზარალისა თუ ზარალებისათვის არ აღემატება პოლისში მითითებულ სადაზღვევო თანხას.

## 14. სადაზღვევო შემთხვევა

ტერმინი „სადაზღვევო შემთხვევა“ აღნიშნავს ნებისმიერ ერთ ზარალს და/ან ზარალების სერიას, რომლებიც წარმოიშვა ან პირდაპირ არის დაკავშირებული ტერორიზმის ან საბოტაჟის ერთ აქტთან ან აქტებთან იმავე მიზნით ან მიზეზით. ნებისმიერი „სადაზღვევო შემთხვევის“ ხანგრძლივობა და მასშტაბი შეიზღუდება დამზღვევითვის დამდგარი ყველა ზარალით წინამდებარე პოლისით დამზღვევი ქონების ტერიტორიაზე, ნებისმიერი თანმიმდევრული 72-საათიანი დროის მონაკვეთის განმავლობაში, რომლებიც წარმოიშვა იმავე მიზეზით ან მიზნით. თუმცა, აღნიშნული 72-საათიანი პერიოდი არ უნდა გასცდეს წინამდებარე პოლისის მოქმედების ვადას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამზღვევმა უშუალო ფიზიკური დაზიანება პირველად მიიღო პოლისის ვადის გასვლამდე და დადგენილი 72-საათიანი პერიოდის ვადაში მომხდარი ტერორისტული აქტის ან საბოტაჟის შედეგად. გარდა ამისა თანმიმდევრული 72-საათიანი დროის მონაკვეთი არ უნდა დაიწყოს წინამდებარე პოლისის ძალაში შესვლამდე.

## 15. ზარალის დამადასტურებელი მტკიცებულება

დამზღვევი უზრუნველყოფს ხელმოწერილი და დამტკიცებული ზარალის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენას ზარალის დადგომიდან სამოცი (60) დღის ვადაში (დასაშვებია აღნიშნული ვადის გაგრძელება მზღვეველთან წერილობითი შეთანხმებით), სადაც მითითებული იქნება ზარალის დადგომის დრო, ადგილი და მიზეზი, დამზღვევის და ყველა სხვა პირის ინტერესი ქონებაში, მთლიანი ღირებულება და ზარალის ან დაზიანების ოდენობა.

## 16. სუბროგაცია

დამზღვევის მიერ წერილობით აღებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება წინამდებარე ნაწილით განსაზღვრული ზარალის დადგომამდე არ მოახდენს გავლენას ამ პოლისზე ან დამზღვევის უფლებაზე, მიიღოს წინამდებარით გათვალისწინებული კომპენსაცია. უარყოფილია სუბროგაციის უფლება დამზღვევის ნებისმიერი ფილიალის ან აფილირებული კომპანიის მიმართ ან დაზღვეულთან მფლობელობის ან მენეჯმენტის გზით დაკავშირებული ნებისმიერი სხვა კომპანიის მიმართ;

## 17. ექსპერტის ხარჯები

სადაზღვევო თანხის ფარგლებში წინამდებარე დაზღვევა მოიცავს ინსპექტორების, ინჟინერ-კონსულტანტების და სხვა პროფესიონალი ექსპერტების საჭირო და გონივრულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია პოლისის თანახმად დამზღვევი ქონების დაზიანების განახლების ან შეკეთების დროს.

## 18. საერთო საგამონაკლისო შემთხვევები :

მზღვეველი არ ანაზღაურებს ზარალს იმ შემთხვევაში, თუ:

- 18.1 სადაზღვევო შემთხვევის დადგომა არ არის დადასტურებული კომპეტენტური ორგანოების მიერ (რკინიგზის ტექნიკური ინსპექცია, სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოების სამსახური, პოლიცია, სახანძრო და სამაშველო სამსახური და ასე შემდეგ).
- 18.2 სადაზღვევო რისკი გამოწვეული იქნა დამზღვევის, ბენეფიციარის, ან მათი კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი განზრახვით;
- 18.3 დაზღვეულს და/ან ბენეფიციარს არ შეუსრულებიათ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები
- 18.4 მზღვეველი ვალდებულია, მიიღოს გადაწყვეტილება, სადაზღვევო თანხის ანაზღაურების ან ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე, ყველა შესაბამისი დოკუმენტების მიღების თარიღიდან, არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში. მზღვეველი ვალდებულია, დაზღვეულს შეატყობინოს მიღებული გადაწყვეტილება, სადაზღვევო თანხის გაცემის ფორმის ან უარის თქმის მიზეზის მითითებით.

1	ხელშეკრულება №		3	ხელშეკრულების საგანი სადაზღვევო მომსახურების შესყიდვა		
2	კონტრაგენტი	სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"	4	მიმღები დეპ/სამ. ფმგ-ფინანსური დეპარტამენტი		
ხელშეკრულების რანგი		კურატორი დირექტორის მიერ განსაზღვრული			გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული	
		რანგი			რანგი	
		I □	II □	III □	I □	II □
5	ხელშეკრულების ადმინისტრატორი	ფილიალ "მგზავრთა გადაყვანა"-ს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე				
		თანამდებობა				
		ნიკოლოზ პატარქალიშვილი	<i>ნ. პატარქალიშვილი</i>		15.04.2022	
		გვარი, სახელი	ხელმოწერა		თარიღი	
6	დირექტორი	დაჩი ცაგურია	<i>დაჩი ცაგურია</i>		15.04.2022	
		გვარი, სახელი			ხელმოწერა	თარიღი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

15.04.2022 წელი

სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ სს „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი ოთხი ერთეული ოთხვაგონიანი STADLER KISS ტიპის ელექტრომატარებლის სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შერჩეულ პრეტენდენტთან სს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ (ს/კ 404393152), ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირები ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ნიკოლოზ პატარქალიშვილი

----- სახელი/გვარი

ხელმოწერა

სს „საქართველოს რკინიგზის“  
დირექტორთა საბჭოს  
დადგენილება

№1/13 2022 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი

4 ერთეული GRS სერიის ელექტრომატარებლის დაზღვევის მომსახურების შესყიდვის შესახებ, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

1. ცნობად იქნას მიღებული, სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს 2022 წლის 30 მარტის №14014 მოხსენებითი ბარათი.

2. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, 4 ერთეული GRS სერიის ელექტრომატარებლის ქონების, ტერორიზმისგან და მესამე პირთა პასუხისმგებლობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 1 (ერთი) თვის ვადით, სს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“-სგან.


3. დაევალოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს შესაბამისი მოთხოვნა-დაკვეთის მომზადება და კორპორატიული მართვის დეპარტამენტის შესყიდვების სააგენტოში წარდგენა.

4. ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ლ.იოზაშვილი) უზრუნველყოს აღნიშნული თანხის სს „საქართველოს რკინიგზის“ 2022 წლის ბიზნეს-გეგმაში გათვალისწინება.

5. დაევალოს სს „საქართველოს რკინიგზის“ კორპორატიული მართვის დეპარტამენტის შესყიდვების სააგენტოს (რ.ლორთქიფანიძე) ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს მიერ წარდგენილი მოთხოვნა-დაკვეთის საფუძველზე, უზრუნველყოს 4 ერთეული GRS სერიის ელექტრომატარებლის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა, 1 (ერთი) თვის ვადით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, სს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“-სგან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

6. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის“ მგზავრთა გადაყვანის დირექტორმა (დ.ცაგურია).

დირექტორთა საბჭოს  
თავმჯდომარე

  
დ.ფერაძე



**Railway Property All Risk Insurance Policy # RTI/PRO 000010**  
**რკინიგზის ქონების დაზღვევის პოლისი # RTI/PRO 000010**

<b>INSURED:</b> დაზღვეული:	<b>Georgian Railway JSC</b> Tamar Mephe Avenue #15, Tbilisi, Georgia სს საქართველოს რკინიგზა მისამართი: თამარ მეფის გამზირი 15, თბილისი, საქართველო Identification Code / საიდენტიფიკაციო კოდი : 202886010		
<b>LOSS PAYEE:</b> ანაზღაურების მიმღები (მოსარგებლე)	Credit Suisse Group AG		
<b>ზღვეველი:</b>	სს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. #19 ტელ: (+995 32) 2 991 991; ფაქსი: (+995 32) 2 952 240 <b>Insurance Company UNISON JSC</b> Address: #19, D. Gamrekeli str. Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 2 991 991; Fax: (+995 32) 2 952 240		
<b>INSURED LOCATION:</b> დაზღვეული არეალი:	Georgia only საქართველო		
<b>THE BUSINESS OF THE INSURED:</b> დამზღვევის საქმიანობა	Freight and Passenger Transportation, Management and Operation of Railway ტვირთის და მგზავრების გადაყვანა რკინიგზის მეშვეობით, რკინიგზის ოპერირება და მართვა		
<b>PERIOD OF INSURANCE:</b> სადაზღვევო პერიოდი:	From 00.01 (local time), 16.04.2022, till 24.00 (local time), 16.05.2022. Local Standard Time at the location of the Property Insured. 16.04.2022-ის 00:01 სთ-დან 16.05.2022-ის 24.00 სთ-მდე (სტანდარტული ადგილობრივი დროით)		
<b>INSURED PROPERTY:</b> დაზღვეული ქონება:	The Double Deck EMU electric powered train, in total 4. ოთხი ერთეული ოთხვაგონიანი KISS ტიპის ელექტრომატარებელი <b>IDENTIFICATION OF THE TRAINS</b> მატარებლების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები		
	Registration Number რეგისტრაციის ნომერი	Wagon Numbers (VIN) ვაგონის ნომრები (VIN)	
	KISS GRS 013	Endwagen 100	STAR L-4286 013-01
		Motorwagen 200	STAR L-4286 013-02
		Motorwagen 250	STAR L-4286 013-06
		Endwagen 150	STAR L-4286 013-09
	KISS GRS 014	Endwagen 100	STAR L-4286 014-01
		Motorwagen 200	STAR L-4286 014-02
		Motorwagen 250	STAR L-4286 014-06
		Endwagen 150	STAR L-4286 014-09
	KISS GRS 011	Endwagen 100	STAR L-4286 011-01
		Motorwagen 200	STAR L-4286 011-02
		Motorwagen 250	STAR L-4286 011-06
		Endwagen 150	STAR L-4286 011-09
	KISS GRS 012	Endwagen 100	STAR L-4286 012-01
		Motorwagen 200	STAR L-4286 012-02
		Motorwagen 250	STAR L-4286 012-06
		Endwagen 150	STAR L-4286 012-09

<b>TOTAL INSURED VALUE:</b> დაზღვეული ქონების ღირებულება:	USD 26,133,846.65 აშშ დოლარი
<b>DEDUCTIBLE:</b> ფრანშიზა:	USD 25,000 any one occurrence per train 25,000 აშშ დოლარი თითო შემთხვევაზე თითო მატარებელზე
<b>PREMIUM:</b> სადაზღვეო პრემია:	USD 6, 460.00 აშშ დოლარი
<b>CONDITIONS:</b> დაზღვევის პირობები:	As Property Insurance wording, attachment #1 to General Agreement # RTI-PRO 000010 ქონების დაზღვევის პირობების მიხედვით, გენერალური ხელშეკრულება # RTI-PRO 000010-ის დანართი #1
<b>CHOICE OF LAW AND JURISDICTION:</b> კანონმდებლობა და იურისდიქცია:	Georgian საქართველოს
<b>PREMIUM PAYMENT TERMS:</b> პრემიის გადახდის პირობა:	ხელშეკრულების მე-6 პუნქტის შესაბამისად.
<b>WARRANTIES (additional conditions):</b> გარანტიები (დამატებითი პირობები):	Subject To insured property planned repairs in accordance with the documentation issued by the manufacturer. დაზღვევა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულ ქონებას უტარდება მწარმოებლის მიერ გაცემული დოკუმენტაციის შესაბამისად გათალისწინებული გეგმიური რემონტები

<p><b>Signed on behalf of Insurer</b> ხელმოწერილია მზღვეველის მხრიდან <b>JSC Insurance Company UNISON</b> სს სადაზღვეო კომპანია „უნისონი“ Address: 19, D. Gamrekeli str. Tbilisi, Georgia მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. #19</p>	<p><b>Signed on behalf of Insured</b> ხელმოწერილია დაზღვეულის მხრიდან <b>Georgian Railway JSC</b> სს საქართველოს რკინიგზა Address: Tamar Mephe ave. 15, Tbilisi, Georgia მისამართი: თამარ მეფის გამზირი 15, თბილისი, საქართველო</p>
<p> სოფიო ბერაია / Sopho Beraia აღმასრულებელი დირექტორი / Executive Director </p> <p>თარიღი/Date: 15/04/2022</p>	<p> დაჩი ცაგურია /Dachi Tsaguria Director of Passenger Transportation Branch of JSC Georgian Railway სს „საქართველოს რკინიგზის“ მგზავრთა გადაყვანის დირექტორი</p> <p>თარიღი/ Date: 15/04/2022</p>

**სარკინიგზო ტრანსპორტის დაზღვევის წესები**

**1. ტერმინთა განმარტებები**

- 1.1. მზღვეველი** - სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“.
- 1.2. დამზღვევი** - პირი, რომელიც აფორმებს სარკინიგზო დაზღვევის ხელშეკრულებას, საკუთარი ან სხვა პირის სასარგებლოდ.
- 1.3. მოსარგებლე** - სადაზღვევო პოლისში მითითებული პირი, რომელსაც გააჩნია სადაზღვევო ინტერესი და რომელმაც უნდა მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.
- 1.4. სადაზღვევო თანხა** - სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, რომლითაც დამზღვევია სარკინიგზო ტრანსპორტი.
- 1.5. სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო თანხა რომელიც დაფიქსირებულია პოლისში.
- 1.6. სადაზღვევო პოლისი** - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც ასახავს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს და აგრეთვე ხელშეკრულებაში შეტანილ იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებზეც მზღვეველი და დამზღვევი შეთანხმდნენ, სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.
- 1.7. სადაზღვევო მოთხოვნა (კითხვარი)** - მზღვეველის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელსაც დამზღვევი წარუდგენს მზღვეველს, დაზღვევის საგნების, ფაქტებისა და პირობების თაობაზე ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით, რაც აუცილებელია დამზღვევი რისკის შესაფასებლად.
- 1.8. სარკინიგზო ტრანსპორტი** - სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და მექანიზმები, რომლებსაც შეუძლიათ რელსებზე გადაადგილება ან რელსებზე მოძრაობა მათი ტექნიკური მახასიათებლების მეშვეობით. წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის **სარკინიგზო ტრანსპორტში** იგულისხმება KISS Stadler-ის მარკის 4 ორსართულიანი, ოთხვაგონიანი ელექტრო მატარებელი (KISS GRS 011, KISS GRS 012, KISS GRS 013, KISS GRS 014).
- 1.9. დამზღვევი რისკი** - პოლისით განსაზღვრული შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება დამზღვევის კონტროლს და რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მომავალში.
- 1.10. დამზღვევი შემთხვევა** - დაზღვეულ რისკთან მიზეზობრივად დაკავშირებული შემთხვევა, რომლის დადგომის შემთხვევაშიც ხორციელდება სადაზღვევო ანაზღაურება, სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად.
- 1.11. უბედური შემთხვევა** - სარკინიგზო ტრანსპორტის შეჯახება ნებისმიერ მოძრავ ან უძრავ საგანთან, სარკინიგზო ტრანსპორტის რელსებიდან გადასვლა სარკინიგზო გზებზე ან სარკინიგზო სადგურში, რის შედეგადაც, სარკინიგზო ტრანსპორტი დაზიანებული ან განადგურებულია.
- 1.12. სრული დანაკარგი** - შემთხვევა, როდესაც სარკინიგზო ტრანსპორტი სრულად განადგურებულია ან არ ექვემდებარება აღდგენას.

**RAILWAY TRANSPORT INSURANCE RULES**

**1. DEFINITIONS**

- 1.1. Insurer** - JSC Insurance Company UNISON
- 1.2. Insured** - a person, which concludes the contract of railway insurance to its own or other person's benefit.
- 1.3. Beneficiary** - the person indicated in the insurance policy having the insurable interest and to which the insurance indemnity is paid, in case of an insured accident.
- 1.4. Sum insured** - the sum of money which is fixed in the Insurance Policy and General Agreement for which the railway transport is insured.
- 1.5. Insurance premium** - payment for insurance fixed in the policy.
- 1.6. Insurance policy** - the document certifying that the contract of insurance is concluded, containing the conditions of the insurance contract, and also such amendments and addendums to the contract for which Insurer and Insured have agreed during the validity of the contract of insurance.
- 1.7. Insurance request (questionnaire)** - the document set out by the Insurer, which is presented by the Insured to the Insurer, in order to provide information about the objects, facts and conditions of insurance, required for estimating the insured risk.
- 1.8. Railway transport** - vehicles, machines and mechanisms, which due to their technical properties can relocate or move on rails. For the purpose of this contract Railway Transport is understood as 4 sets of KISS Stadler Double deck 4 carriage electric powered trains (KISS GRS 011, KISS GRS 012, KISS GRS 013, KISS GRS 014).
- 1.9. Insured risk** - an accident specified in the policy that is beyond the control of the Insured and could occur in the future.
- 1.10. Insured accident** - an accident causally related to the insured risk upon occurrence of which payment of the insurance indemnity is provided pursuant to the insurance contract.
- 1.11. Accident** - collision of the railway transport with any moving or immovable object, derailment on railroad sections and at railway stations, as a result of which the railway transport is damaged or destroyed.
- 1.12. Total loss** - accident, when the railway transport is fully destroyed or irreversibly lost.
- 1.13. Constructive total loss** - an accident, when the railway transport has been damaged to such extent that the repair costs would exceed the value of the railway transport before the occurrence of insured risk.
- 1.14. Deductible** - a part of the insurance sum expressed in terms of money or percentage which is deducted from the calculated insurance indemnity in every case of insured accident.

**1.13. კონსტრუქციული სრული დანაკარგი** - შემთხვევა, როდესაც სარკინიგზო ტრანსპორტი დაზიანებულია იმგვარად, რომ მისი შეკეთების ხარჯები აჭარბებს აღნიშნული სარკინიგზო ტრანსპორტის ღირებულებას, დამზღვევი რისკის დადგომამდე.

**1.14. დაქვითვადი თანხა** - სადაზღვევო თანხის ნაწილი, წარმოდგენილი ფულადი თანხის ან პროცენტული ოდენობის სახით, რომელიც იქვითება გამოთვლილი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებიდან, ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

## **2. ზოგადი დებულებები**

**2.1.** წინამდებარე წესების შესაბამისად, მზღვეველი აფორმებს სადაზღვევო ხელშეკრულებას დაზღვეულთან, სარკინიგზო ტრანსპორტის დაზღვევის მიზნით. წინამდებარე ხელშეკრულებაში, მზღვეველი და დამზღვევი შემდგომში მოხსენიებულნი არიან, როგორც „მხარეები“.

**2.2.** დამზღვევი შეიძლება იყოს სარკინიგზო ტრანსპორტის მფლობელი ან მხარე, რომელიც, სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში, ფლობს საკუთრების ან დომენურ უფლებებს, რომლის სასარგებლოდაც დაგირავებული იქნა აღნიშნული სარკინიგზო ტრანსპორტი ან რომელმაც იკისრა აღნიშნული სარკინიგზო ტრანსპორტის სრული დანაკარგის ან დაზიანების რისკი.

## **3. დაზღვევის ობიექტები**

**3.1** წინამდებარე წესების შესაბამისად, შესაძლებელია ქვემოთ ჩამოთვლილი სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტების დაზღვევა:

**3.1.1** ლოკომოტივები, სარკინიგზო ვაგონები, ძრავიანი ვაგონები, ძრავიანი მატარებლები, კონტროლირებული თვითმავალი ვაგონები, ცისტერნა-ვაგონები, კონტეინერები და საავტომობილო პლატფორმები და ასე შემდეგ;

**3.1.2** გზის შეკეთებისათვის განკუთვნილი მანქანა-დანადგარები, ამწეები, სხვა სახის მანქანა-დანადგარები და მექანიზმები, რომლებსაც შეუძლიათ რელსებზე გადაადგილება ან რელსებზე მოძრაობა, მათი ტექნიკური მახასიათებლების მეშვეობით.

**3.2** ცალკეულად, ქონების დაზღვევის წესების შესაბამისად, შესაძლებელია ქვემოთ მითითებული ობიექტების დაზღვევა:

**3.2.1** სარკინიგზო ტრანსპორტში დამონტაჟებული საყოფაცხოვრებო მოწყობილობები ან აპარატურა;

**3.2.2** განგაშის, ცენტრალიზაციის, ბლოკირების, კომუნიკაციისა და ელექტროენერგიით მომარაგების აღჭურვილობა, სხვა სახის ტექნოლოგიური აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები, რომლებიც აუცილებელია მოძრავი საშუალების უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველსაყოფად.

## **4. დამზღვევი რისკები**

## **2. GENERAL PROVISIONS**

**2.1** In accordance with these Rules the Insurer concludes the insurance contract with the Insured for the insurance of Railway Transport. The Insurer and the Insured are henceforth referred to as "Parties".

**2.2** The Insured can be the owner of the railway transport or a party, which during the validity period of the insurance contract possesses the rights of property or domain, for the benefit of which it has been mortgaged, or which has undertaken the risk for its total loss or damage.

## **3. OBJECTS OF INSURANCE**

**3.1** According to these Rules insured may be trains indicated as Railway Transport and all attaching equipment and machinery, particles and properties, such as the following objects of the railway transport :

**3.1.1** locomotives, carriages, motor carriages, motortrains, controlled self-propelled carriages, tank cars, container and car platforms etc.;

**3.1.2** road repair machines, cranes, other machines and mechanisms which due to their technical properties can relocate or move on rails.

**3.2** Separately, in accordance with the Rules of Property insurance, it is possible to insure:

**3.2.1** domestic appliances or apparatus installed on railway transport;

**3.2.2** alarm, centralization, blocking, communication and power supply equipment, other technological equipment and machines which are needed for safety guarantees of the rolling stock.

## **4. INSURED RISKS**

**4.1** These Rules provide for payment of the insurance indemnity for the damages of railway transport, total or constructive loss, when the insurance accident sets in, which has been caused by the below mentioned risks, except for cases mentioned in part 5 (Exclusions) of these Rules:

**4.1.1** fire;

**4.1.2** explosion, short circuit;

**4.1.3** Accident;

**4.1.4** natural disasters: earthquake, thunderbolt, hurricane, hail, pouring rain, flood.

**4.1.5** illegal actions of third persons: explosion, incineration, theft and robbery.

**4.2** When the insured accident occurs the Insurer

**4.1** წინამდებარე წესები ითვალისწინებს სადაზღვევო თანხის გადახდას, სარკინიგზო ტრანსპორტის დაზიანებების, სრული ან კონსტრუქციული დანაკარგის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, რომელიც გამოწვეული იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი რისკების შედეგად, წინამდებარე წესების მე-5 ნაწილში (გამონაკლისები) მითითებული შემთხვევების გარდა:

4.1.1 ხანძარი;  
4.1.2 აფეთქება, მოკლე ჩართვა;  
4.1.3 უბედური შემთხვევა;  
4.1.4 ბუნებრივი კატასტროფები: მიწისძვრა, მეხი, ქარიშხალი, სეტყვა, წვიმა, წყალდიდობა.

4.1.5 მესამე პირების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებები: აფეთქება, ხანძრის გაჩენა, ქურდობა და ყაჩაღობა.

**4.2** სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველი ვალდებულია, აანაზღაუროს დამზღვევის ყველა დეკლარირებული და დასაბუთებადი გონივრული დანახარჯები, რომლებიც ამ უკანასკნელმა განიცადა პრევენციული გადაუდებელი ზომების მიღებისა და სარკინიგზო ტრანსპორტის დაზიანების შემცირების მიზნით, აგრეთვე, დამზღვევი რისკებით გამოწვეული ზარალის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე პირობების მე-5 ნაწილით (გამონაკლისები) გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ქონების გადარჩენის ხარჯები ანაზღაურდება ზარალის ოდენობის 25%-მდე.

## **5. გამონაკლისები**

**5.1** სადაზღვევო ზარალის ანაზღაურება არ ხდება ქვემოთ მითითებული შემთხვევების შედეგად გამოწვეული ზიანისას:

5.1.1 ბირთვული აფეთქება, რადიაცია ან რადიოაქტიური დაბინძურება;

5.1.2 სამხედრო ოპერაციები, სამოქალაქო მღელვარება და აღნიშნულით გამოწვეული შედეგები, სამოქალაქო ომი, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება ან გაფიცვები, ტერორისტული მოქმედებები, სახელმწიფო ან მუნიციპალური კანონმდებლობის ძალაში შესვლა;

5.1.3 სარკინიგზო ტრანსპორტის რეკონსტრუქცია, სარკინიგზო კვანძების (აგრეგატების) შეცვლა ან ჩანაცვლება;

5.1.4 სარკინიგზო ტრანსპორტის მფლობელის გადახდისუნარიობა ან ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა;

5.1.5 ძრავებისა და მათი ნაწილების, მექანიზმების ან აღჭურვილობის ბუნებრივი ცვეთა, კოროზია, ტექნიკური ხარვეზები და უხარისხო შეკეთება;

5.1.6 სარკინიგზო ტრანსპორტის საექსპლუატაციო თვისებების გაუარესება, ბუნებრივი ცვეთა, აგრეთვე, სარკინიგზო ტრანსპორტის ხარისხის გაუარესება და მისი ღირებულების შემცირება სადაზღვევო შემთხვევების და/ან შეკეთების შედეგად;

5.1.7 მწარმოებლის საოპერაციო ინსტრუქციებისა და

shall cover all declared and justifiable reasonable expenses of the Insured, incurred due to urgent measures of prevention and reduction of the damage of the railway transport, in order to avoid losses, caused by the insured risks, except cases mentioned in part 5 (Exclusions) of these Rules. Salvage expenses can be indemnified up to 25% of the insurance indemnity sum.

## **5. EXCLUSIONS**

**5.1** No insurance indemnity shall be paid out for losses caused by:

5.1.1 nuclear explosion, radiation or radioactive contamination;

5.1.2 military operations, people's commotions and their consequences, civil war, revolution, coup d'etat or strikes, terrorist actions, state or municipal legislation coming to effect;

5.1.3 reconstruction of railway transport, alteration or substitution of railway junctions (aggregates);

5.1.4 insolvency of the owner of the railway transport or non-fulfilment of the financial obligations;

5.1.5 wear and tear, corrosion, technical defects and non-quality repair of engines, their parts, mechanisms or equipment;

5.1.6 deterioration of exploitation properties of railway transport, tear and wear, as well as loss of quality of railway transport and reduction of value as a result of insured accidents and/or repairs;

5.1.7 non-compliance with the manufacturer's operational instructions and requirements;

5.1.8 lack of fuels, greasing or other liquids in the relevant railway transport systems;

5.1.9 damage in the electric and/or in mechanical junctions and/or aggregates of the railway transport, if such damage was not caused by the risks mentioned in paragraph 4.1.

5.1.10 a person without conductor's rights is conducting the railway transport, or it is under the effect of alcohol, narcotic or psychotropic substances or other intoxicating substances;

**5.2** The Insurer shall not indemnify losses, if:

5.2.1 the occurrence of insured accident is not confirmed by competent authorities (Railway Technical inspection, Railway traffic security service, police, fire fighting and rescue service etc.);

5.2.2 the insurance risk has been caused by intentional act of the Insured or Beneficiary or their lawful representatives;

5.2.3 the Insured's civil liability has set in for the caused proprietary losses, personal or environmental damages;

მოთხოვნების დაუცველობა;

5.1.8 საწვავის, საპოხი მასალებისა და სხვა სითხეების ნაკლებობა შესაბამის სარკინიგზო სატრანსპორტო სისტემებში;

5.1.9 დაზიანება სარკინიგზო ტრანსპორტის ელექტრო და/ან მექანიკურ საკვანძო მონაკვეთებში და/ან აგრეგატებში იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დაზიანება გამოწვეული არ ყოფილა 4.1. პუნქტში მითითებული რისკებით.

5.1.10 იმ შემთხვევაში, თუ სარკინიგზო ტრანსპორტს მართავს კონდუქტორის უფლების არმქონე პირი ან პირი იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ან სხვა ინტოქსიკაციური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

5.2 მზღვეელი არ აანაზღაურებს ზარალს იმ შემთხვევაში, თუ:

5.2.1 სადაზღვევო შემთხვევის დადგომა არ არის დადასტურებული კომპეტენტური ორგანოების მიერ (რკინიგზის ტექნიკური ინსპექცია, სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოების სამსახური, პოლიცია, სახანძრო და სამაშველო სამსახური და ასე შემდეგ).

5.2.2 სადაზღვევო რისკი გამოწვეული იქნა დამზღვევის, ბენეფიციარის, ან მათი კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი განზრახვით;

5.2.3 დაზღვეულს დაეკისრა სამოქალაქო პასუხისმგებლობა გამოწვეული ქონების დაზიანების, სხეულის დაზიანების ან გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამო;

5.3 კონკრეტულ სადაზღვევო ხელშეკრულებაში, მზღვეელი უფლებამოსილია, გადაუხვიოს ზემოთ მოცემულ გარკვეულ გამონაკლისებს ან ცვლილებები შეიტანოს მათში, აგრეთვე, მზღვეელი უფლებამოსილია, დააწესოს დამატებითი გამონაკლისები და შეზღუდვები და აღნიშნული მიუთითოს სადაზღვევო პოლისში ან ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში.

**6. სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულების ტერიტორია და მოქმედების ვადა.**

6.1 სადაზღვევო ხელშეკრულების ხელმოწერისას, დამზღვევი ვალდებულია შეავსოს სარკინიგზო ტრანსპორტის დაზღვევის განაცხადი, რომელიც შეადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.2 სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებამდე, დამზღვევი ვალდებულია, მზღვეელს წარუდგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:

6.2.1 ხელშეკრულება, დადებული შტადლერსა და საქართველოს რკინიგზას შორის, ასევე მიღება-ჩაბარების აქტი რომელიც ადასტურებს სარკინიგზო ტრანსპორტის საკუთრების უფლებას საქართველოს რკინიგზის სასარგებლოდ;

6.2.2 ტექნიკური პასპორტი, რომელიც აღწერს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;

6.3 საჭიროების შემთხვევაში, მზღვეელი და

**6. CONCLUSION OF INSURANCE CONTRACT THE TERRITORY AND PERIOD OF THE CONTRACT**

6.1 When signing the insurance contract, the Insured shall complete the proposal form/questionnaire of the railway transport insurance, which forms an integral part of the insurance contract.

6.2 Before the conclusion of the insurance contract the Insured shall produce to the Insurer the following documents:

6.2.1 Agreement between Stadler and Georgian Railways, and Acceptance Act executed between the parties, which evidences transfer of the ownership title on the Railway Transport.

6.2.2 Technical passport of the Railway Transport which envisages information about the technical condition of the Railway Transport to be insured;

6.3 If appropriate the Insurer and the Insured may agree on specific provisions of the insurance contract to be effected as the Addendum to the insurance policy.

6.4 Before the conclusion of the insurance contract and during its validity period, to verify the original information, the representatives of Insurer or invited independent experts have the right to require the documents and information mentioned in paragraph 6.2., as well as to carry out the estimation and survey of the railway transport.

6.5 The insurance contract may indicate the deductible of the Insured.

6.6 The insurance contract may be concluded for a year, if the contract does not provide differently.

6.7 The insurance is in force on the territory of Georgia.

6.8 The insurance shall enter into force on the date indicated in the insurance policy

6.9 If the insured railway transport has perished or has been stolen before the contract attaches, the insurance contract is terminated and the Insurer shall repay to the Insured the received insurance premium.

Termination terms and conditions shall be governed by General Agreement # RTI/PRO 000010

**7. INSURANCE SUM AND INSURANCE PREMIUM**

7.1 The insurance sum shall not exceed the values indicated in the Policy.

7.2 The amount of the insurance premium shall be stipulated by the Insurer, on the agreement with the Insured, as indicated in the Policy, taking into consideration the insurance sum, tariff rate and time period for which the insurance contract is concluded.

7.3 The amount of the tariff rate depends on the type of vehicle,

დამზღვევი შესაძლოა შეთანხმდნენ სადაზღვევო ხელშეკრულების განსაკუთრებულ დებულებებზე, რომლებიც უნდა ამოქმედდეს სადაზღვევო პოლისის დანართის სახით.

**6.4** სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებამდე და სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, საწყისი ინფორმაციის შემოწმების მიზნით, მზღვეველის წარმომადგენლები ან მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტები უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ 6.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები და ინფორმაცია, აგრეთვე, ჩაატარონ სარკინიგზო ტრანსპორტის შეფასება და გამოკვლევა.

**6.5** დაზღვევის ხელშეკრულებაში შესაძლოა მიეთითოს ფრანშიზა.

**6.6** დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება გაფორმებული იქნეს ერთი წლის ვადით იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**6.7** დაზღვევა მოქმედებს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

**6.8** დაზღვევა ძალაში შევა პოლისში მითითებულ თარიღში.

**6.9** იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი სარკინიგზო ტრანსპორტი დაზიანდება ან მოხდება მისი მოპარვა ხელშეკრულების ამოქმედებამდე, სადაზღვევო ხელშეკრულება უნდა შეწყდეს და მზღვეველი ვალდებულია, დაზღვეულს უკან დაუბრუნოს მიღებული სადაზღვევო პრემია.

დაზღვევის ვადამდე შეწყვეტას არეგულირებს ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების შესახებ

# RTI/PRO 000010

## **7. სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო პრემია**

**7.1** სადაზღვევო თანხა არ უნდა აჭარბებდეს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ღირებულებებს.

**7.2** სადაზღვევო პრემიის ოდენობა განსაზღვრული უნდა იქნეს სადაზღვევო პოლისში მზღვეველის მიერ დამზღვევთან შეთანხმებით, სადაზღვევო თანხის, ტარიფის და იმ ვადის გათვალისწინებით, რა ვადითაც ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება.

**7.3** სატარიფო განაკვეთის ოდენობა დამოკიდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპზე, გამოშვების წელიწადზე, საექსპლუატაციო პირობებზე, სამარშუტო ტერიტორიაზე და სხვა რისკ-ფაქტორებზე.

**7.4** სადაზღვევო პრემიის გადახდა შესაძლებელია ნაღდი ანგარიშსწორებით, მზღვეველის ან მზღვეველის წარმომადგენლის სალარო აპარატებში ან საბანკო გადარიცხვის მეშვეობით, მზღვეველის ან მისი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე.

**7.5** სადაზღვევო პრემიის გადახდა უნდა განხორციელდეს ერთიანი გადახდით, სადაზღვევო ხელშეკრულების მთლიანი მოქმედების ვადაზე, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის

its building year, operational conditions, territory (route) of operation and other factors of risk.

**7.4** The Insurance premium may be paid in cash to the Insurer's cashdesk or to the representative of the Insurer or by bank transfer to the account of the Insurer or its representative.

**7.5** The Insurance premium shall be paid in a single payment for all the term of validity of the insurance contract, if the insurance contract does not provide differently.

**7.5.1** The Insured is obliged to observe the payment schedule stipulated in the policy; in case of non-observance of the payment schedule of the insurance premium the Insurer is entitled to suspend and terminate the insurance contract as foreseen by Georgian Law and Jurisdiction.

**7.5.2** The Insurer is entitled to withhold the outstanding insurance premiums from the insurance indemnity, according to the relevant insurance policy.

**7.6** If during the term of validity of the contract the probability of the insurance risk has increased or decreased, the parties may agree on altering the provisions of the insurance contract, or concluding a new contract, increasing or decreasing accordingly the amount of the insurance premium. If the Parties cannot come to agreement, the insurance contract shall be terminated according to applicable laws of Georgia".

## **8. RIGHTS AND OBLIGATIONS OF THE INSURED AND THE INSURER**

**8.1** The Insured is obliged:

**8.1.1** Upon the Insurer's request to present to the Insurer full, exact and veritable information which is essential for estimating the probability of insured risk and important for concluding the insurance contract;

**8.1.2** to notify the Insurer about any other insurance contracts known for him/her regarding the same object of insurance;

**8.1.3** to pay the insurance premium on dates and in the amounts stipulated by the contract of insurance;

**8.1.4** to inform the Beneficiary that he/she has been insured.

**8.2** During the validity of the contract the Insured and/or the Beneficiary have the obligation:

